საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016/2017 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2016 წლის 2 აგვისტოს №145 და № 146 ბრძანებების თანახმად

მაგისტრატურაში სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთები მიიღება 2016 წლის 8 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე 10.00 საათიდან 16.00 საათამდე, ფაკულტეტების დეკანატებში.

მაგისტრანტობის კანდიდატმა შესაბამის დეკანატში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის მითითებით
- პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
- აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი და მისი ასლი, ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მისი ასლი;
- ფოტოსურათი 4 ცალი ზომით 3 x4 სმ;
- მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
- მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შეფასებები (ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან – www.naec.ge).
- თი-ბი-სი ბანკის რომელიმე ფილიალში გადახდილი 15 - ლარიანი ქვითარი.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება არ მიიღება. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს.

დეკანატის მიერ ვიზირებულ განცხადებას, საბუთებთან ერთად, მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს სტუ-ს კანცელარიას;

სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახული აქვს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მითითებულ ზღვარზე მეტი ქულა აქვს მიღებული;

საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს:

- წაკითხულის გააზრება - 6,3 ქულა
- ანალიტიკური წერა - 6,0 ქულა
- ლოგიკური მსჯელობა - 5,1 ქულა
- რაოდენობრივი მსჯელობა - 5,0 ქულა

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულია:

- წაკითხულის გააზრება - 6,4 ქულა
- ანალიტიკური წერა - 7,0 ქულა
- ლოგიკური მსჯელობა - 5,2 ქულა
- რაოდენობრივი მსჯელობა - 5,2 ქულა

მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა შესაბამის საგანში.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად მაგისტრანტობის კანდიდატმა სასპეციალიზაციო გამოცდაში ასევე უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასპეციალიზაციო გამოცდისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სამაგისტრო პროგრამაზე არის 31 ქულა (შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან), მინიჭებული კოეფიციენტი – 65.

სასპეციალიზაციო გამოცდები ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩატარდება

2016 წლის 21 სექტემბერს სტუ-ს საგამოცდო ცენტრში, სტუ-ს I კორპუსში, კოსტავას ქ.68, შემდეგი განრიგით:

9^{00} _11^{00} საათი

- სამშენებლო ფაკულტეტი
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

11^{00} _13^{00} საათი

- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

13^{00} _15^{00} საათი

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები:

- სამართალი
- საერთაშორისო ურთიერთობები

15^{00} _17^{00} საათი

ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- საბანკო პროცესების მართვა
- საჯარო მმართველობა
- საჯარო მმართველობა (რუსულენოვანი)
- ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები
- სასტუმრო მომსახურების მართვა

17^{00} _19^{00} საათი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ეკონომიკა
- ევროპისმცოდნეობა
- მასობრივი კომუნიკაცია
- საზოგადოებრივი ურთიერთობები
- არქეოლოგია

2016 წლის 21 სექტემბერს სტუ-ს I კორპუსში, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, (აუდიტორია №403), კოსტავას ქ.68.

10^{00} საათი

- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
- დიზაინის საერთაშორისო აკოლა

სასპეციალიზაციო გამოცდების შედეგები გამოცხადდება იმავე დღეს, 21 სექტემბერს

საპრეტენზიო განცხადებები მიიღება ამა წლის 21 სექტემბერიდან 23 სექტემბრის 16 საათამდე, მათი განხილვა – ამა წლის 23 სექტემბერს;

სასპეციალიზაციო გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდება ამა წლის 23 სექტემბერს.

მაგისტრანტობის კანდიდატმა ფაკულტეტის დეკანატში **უნდა გააფორმოს ხელშეკრულება** 2016 წლის 23 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩარიცხულთა სიაში ვერ მოხვდება);

2016-2017 სასწავლო წლისთვის სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის ბრძანება გამოიცემა ამა წლის 3 ოქტომბერს.

სწავლების დეპარტამენტი

1. **სამშენებლო ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ს I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 537;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 551107170;

2. **ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ს VIII კორპუსი, მე- 4 სართული, ოთახი 412;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 51 72;

3. **სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ს III კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 306;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 0050;

4. **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 69; სტუ-ს X კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 402;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 3807; 558 585 898

5. **სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ს I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 543 ;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 447 5 14;

6. **არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ს I კორპუსი, c ფლიგელი, მე-4 სართული, ფაკულტეტის დეკანატი;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 233 7163;

7. **ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 911ა;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 236 5213;

8. **საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 916ა;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 577 375 439;

9. **სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული, ოთახი 903 ბ;**
   საკონტაქტო ტელეფონი - 577 527 729

10. **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - მ.კოსტავას 77; სტუ-ს VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი 303 ა;**
    საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19; 599 14 20 80;

11. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
    გურამიშვილის გამზ.№17, მე-2 სართული, ოთახი №209;
    საკონტაქტო ტელეფონი 593 190 772;

12. დიზაინის საერთაშორისო სკოლა. მ.კოსტავას 77; სტუ VIII კორპუსი, II სათული ოთახი 3;
    საკონტაქტო ტელეფონი – 577 551 388;